

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №44

2018 წლის 23 აპრილი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 04/01/2018 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.117.016365) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ასლან საგანელიძე

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

თავი I

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი.

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11634,8	3909,8	7725.0
გადასახადები	475.0	0	475.0
გრანტები	10711,3	3909,8	6801.5



სხვა შემოსავლები	448.5	0	448.5
ხარჯები	6392,6	143.7	6248,9
შრომის ანაზღაურება	1816.8	58.7	1758.1
საქონელი და მომსახურება	910,7	14.7	895,9
სუბსიდიები	2873.8	66.6	2807.2
გრანტები	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	588.6	3.7	584.8
სხვა ხარჯები	202,9	0	202,9
საოპერაციო სალდო	5242,1	3766,0	1476,1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6214,6	4298,7	1915,9
ზრდა	6264,6	4298,7	1965,9
კლება	50.0	0	50.0
მთლიანი სალდო	-972,5	-532.7	-439,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1075,1	-532.7	-542,4
ვალუტა და დეპოზიტები	1075.1	532.7	542,4
ზრდა	0	0	0
კლება	1075.1	532.7	542,4
ვალდებულებების ცვლილება	-102.6	0	-102.6
კლება	102.6	0	102.6
ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება.



დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	11684,8	3909,8	7775,0
შემოსავლები	11634,8	3909,8	7725,0
არაფინანსური აქტივების კლება	50,0	0	50,0
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	0	0	0
ხარჯები	6392,6	143,7	6248,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	6264,6	4298,7	1965,9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1075,1	-532,7	-542,4
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0
ფინანსური აქტივების კლება	1075,1	532,7	542,4
ვალდებულებების კლება	102,6	0	102,6
ნაშთის ცვლილება	-1075,1	-532,7	-542,4

მუხლი 3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **11634,8** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის გეგმა	
	სახელმწიფო	



	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11634,8	3909,8	7725.0
გადასახადები	475.0	0	475.0
გრანტები	10711,3	3909,8	6801.5
სხვა შემოსავლები	448.5	0	448.5

მუხლი 4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 475.0 ათასი ლარის
ოდენობით:

დასახელება	კოდი	2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	475.0	0	475.0
საშემოსავლო გადასახადი	11111	75.0	0	75.0
ქონების გადასახადი	113	400.0	0	400.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	396.5	0	396.5
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	0	0	0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0	0	0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	1.5	0	1.5
ფიზიკური პირებიდან	1131141	0.7	0	0.7
იურიდიული პირებიდან	1131142	0.8	0	0.8
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	2.0	0	2.0
ფიზიკური პირებიდან	1131151	0.8	0	0.8



იურიდიული პირებიდან	1131152	1.2	0	1.2

მუხლი 5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10711,3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2018		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	10711,3	3909,8	6801.5
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	0	0	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	10711,3	3909,8	6801.5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	6941.5	140.0	6801.5
გათანაბრებითი ტრანსფერი		6801.5	0	6801.5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		140.0	140.0	0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0	0	0
ფონდებიდან გამოყოფილი				



ტრანსფერები	1312	3769,8	3769,8	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		0	0	0

მუხლი 6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 448.5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	448.5	0	448.5
შემოსავლები საკუთრებიდან	141	358.0	0	358.0
პროცენტები	1411	40.0	0	40.0
რენტა	1415	318.0	0	318.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	318.0	0	318.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0	0	0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	47.5	0	47.5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	26.0	0	26.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	5.0	0	5.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	142214	21.0	0	21.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	21.5	0	21.5



შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	21.5	0	21.5
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	29.0	0	29.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	14,0	0	14,0

მუხლი 7. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6392,6 ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6392,6	143,7	6248,9
შრომის ანაზღაურება	1816.8	58.7	1758.1
საქონელი და მომსახურება	910,7	14.7	895,9
სუბსიდიები	2873.8	66,6	2807.2
გრანტები	0	0	0
სოციალური ზრუნველყოფა	588.6	3.7	584.8
სხვა ხარჯები	202,9	0	202,9

მუხლი 8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6214,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის გეგმა	
	მათ შორის	



	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6214,6	4298,7	1915,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	6264,6	4298,7	1965,9
არაფინანსური აქტივების კლება	50,0	0	50,0

მუხლი 9. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2354.4	0	2354.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2354.4	0	2354.4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2325.0	0	2325.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	29.4	0	29.4
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0	0	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	0	0



702	თავდაცვა	77,1	77,1	0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0	0	0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	5507.1	3847.0	1660.2
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მონადირეობა	915.0	915.0	0
7045	ტრანსპორტი	2314.5	1257.0	1057.4
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2120.5	1257.0	863.4
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	194.0	0	194.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2277,7	1674,9	602,7
705	გარემოს დაცვა	1284.5	434.0	850.4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1143.7	434.0	709.7
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	140.8	0	140.8
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	596,4	17,7	578,6
7063	წყალმომარაგება	18,6	0	18,6
7064	გარე განათება	230,0	0	230,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	347,7	17,7	330,0



707	ჯანმრთელობის დაცვა	321.6	66,6	255,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	255,0	0	255,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	66,6	66,6	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1330.8	0	1330.8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	579.3	0	579.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	679.7	0	679.7
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0	0	0
7084	რელიგიური და სხვა საზოგადო საქმიანობა	71,8	0	71,8
709	განათლება	865.4	0	865.4
7091	სკოლამდელი აღზრდა	750.0	0	750,0
7092	ზოგადი განათლება	115.4	0	115.4
710	სოციალური დაცვა	320,0	0	320,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	12,0	0	12,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	16,5	0	16,5
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	113,0	0	113,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	50,0	0	50,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	128,5	0	128,5



	სულ	12657,3	4442,5	8214,8

მუხლი 10. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 972.5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1075.1 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 102,6 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული სარეზერვო ფონდი 29.4 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 140,0 ათასი ლარი, მათ შორის:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 66.6 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 73.4 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება.

1.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.



2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისათვის დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში 2018 წელს დაგეგმილია სასოფლო გზების მოვლა-შენახვის ღონისძიებები, სასოფლო გზებზე ბეტონის სანიაღვრე არხების და საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, რეგიონალური დაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება. მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისა და მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით შეძენილი იქნება 3 ერთეული სამგზავრო ავტობუსი. დაფინანსებული იქნება მუნიციპალური ტრანსპორტი.

გაგრძელდება 2017 წელს გამოყოფილი რეგიონალური ფონდის ნაშთიდან ბოსტანის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები. მოხდება საამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის ხარჯის და რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი თანხები სადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება.

2018 წელს რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდება: ქ. ამბროლაურში (გამსახურდიას 04 ჩიხი, 05 ქუჩა, 02 ჩიხი, ბარათაშვილის ქუჩა) ასფალტო-ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის, ქ. ამბროლაურში (გოგებაშვილის ქუჩა, 01 შესახვევი, 01 და 02 ჩიხები, გამსახურდიას ქუჩა, 03 ჩიხი, 05 ქუჩა, 03 ჩიხი, ბარათაშვილის ქუჩა) ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის და სოფელ სადმელში ბეტონისსაფარიანი გზის მოწყობის მეორე რიგის სამუშაოები, სოფელ ხიმში-ამბროლაურის საავტომობილო გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის მეორე რიგის სამუშაოები.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვასა და მის ექსპლოატაციასთან და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საკანალიზაციო სისტემის და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - მოწყობა. კეთილმოეწყობა და მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა.

2.2.1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოხდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გარეგანათების ელექტროენერჯის ღირებულების დაფინანსება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა. გარეგანათების ექსპლოატაციის მომსახურების გასაუმჯობესებლად შეძენილი იქნება 1 ერთეული სპეციალური ტექნიკა (ამწე-კალათა).

2.2.2. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

რეგულარულად განხორციელდება მიუსაფარი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის და თოვლწმენდის ღონისძიებები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული თვითმცლელი ნაგავმზიდის ტექნიკური მომსახურებისა და შესაბამისი ნაწილებით უზრუნველყოფა. განხორციელდება ნაგვის ბუნკერების შესყიდვა. გაგრძელდება 2017 წელს გამოყოფილი რეგიონალური ფონდის ნაშთი და ურავის მყარი ნარჩენების გასუფთავების სამუშაოები. 2018 წელს რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდება სოფელ ურავში ყოფილი სამთო-ქიმიური ქარხნის ტერიტორიაზე არსებული მავნე ნარჩენების საკონსერვაციო სამუშაოების მეორე რიგის სამუშაოები.

2.2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფელ მეორე ტოლაში (გომიშურზე) სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ქალაქ ამბროლაურში ახალგაზრდებისათვის თავშეყრის ადგილი (საბილიარდო), სოფელ ძირაგულში აშენდება თავშეყრის ადგილი, ამავე შენობაში განთავსდება ამბულატორია.



სოფელ სადმელში მოხდება სტადიონის და ფანჩატურის რეაბილიტაცია, სოფელ მეორე ტოლაში ბიბლიოთეკის და ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოები, ქ. ამბროლაურში საცურაო აუზის რეაბილიტაციის, მცირე ზომის სკვერის მოწყობის, აგრეთვე ადმინისტრაციული შენობის ფართის რეაბილიტაციის, შაორის ტბის მიმდებარედ საქანელის მოწყობის და ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის დახლების მოწყობის სამუშაოები.

მოხდება სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის ხარჯის და რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი თანხების ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება.

გაგრძელდება ზოგადი ხედვის ვიდეოკამერებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიის აღჭურვის მეორე რიგის სამუშაოების დაფინანსება.

გადახდილი იქნება 2017 წელს განხორციელებული სამუშაოებიდან დარჩენილი თანხები: აეროპორტის მიმდებარედ გამწვანება და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტული ობიექტების, წყაროების კეთილმოწყობის და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნის მოწყობის, ქ. ამბროლაურში სტადიონის მშენებლობის მეორე რიგის სამუშაოები.

2.2.4. სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 04)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (სხვადასხვა ადგილას) განხორციელდება სანიაღვრე არხების მოწყობა.

2.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05) პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ადგილას არსებული წყალსადენების რეაბილიტაცია, დაფინანსდება ელექტროენერჯის ხარჯი სოფლებში არსებულ წყალსაქაჩებზე სანასოსე სისტემების შეუფერხებელი მუშაობისთვის.

2018 წელს რეგიონალური დაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების მონაწილეობით განხორციელდება სხვადასხვა ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.2.6. რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ტექნიკური ზედამხედველობის და საპროექტო სამუშაოების ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება.

2.3. ა(ა)იპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური (პროგრამული კოდი 03 07)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების გატანის, ხეების მოჭრის, სანიაღვრე არხების გაწმენდის, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლების, დასუფთავებასთან დაკავშირებული მოსაკრებლების ამოღების, ჯარიმების ადმინისტრირების, სასაფლაოების მოვლა-შენახვის, გამწვანების, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციისა და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

2.4. ა(ა)იპ – მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალსადენი მილებისა და წყალსაქაჩი ობიექტების მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

2.5. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა (პროგრამული კოდი 03 03)

გათვალისწინებულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და სხვა სამუშაოების წარმოება.

2.5. 1. სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)



პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების წარმოება. 2018 წელს რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდება მდ. კრიხულაზე დამცავი ჯებირის მოწყობა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარჯების დაფინანსება. აგრეთვე დაფინანსდება სკოლისგარეშე განათლება.

3.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (პროგრამული კოდი 04 01)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებას იღებს 315-მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღის სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების გაღრმავების მიზნით დაფინანსებულია სკოლისგარეშე აღმზრდელობითი ღონისძიების პროგრამა. პროგრამაში ჩართულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 100-მდე მოსწავლე. პროგრამაში გათვალისწინებულია, მოსწავლეთა მოთხოვნის შესაბამისად კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, როგორცაა თეატრალური, ლიტერატურის, აგრეთვე ბავშვთა მომზადება შემდეგ წრეებში: ზოგადი უნარ-ჩვევების, მათემატიკური, კომპიუტერული, რუსული, ინგლისური, გერმანული.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე, მისი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტის პოპულარიზაციასა და სპორტული პირობების შექმნა განვითარებას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების განვითარება და გამოვლენა.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სექციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მოსწავლე-ახალგაზრდობას ჰქონდეთ შესაძლებლობა სპორტული ვარჯიშის განხორციელებისა თანამედროვე სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე.

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მეცადინეობები და შეჯიბრი შემდეგ სახეობებში:

კალათბურთი, ჭიდაობა, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, რაგბი, შიდოკან კარატე, ფრენბურთი და ფეხბურთი დაფინანსდება პროგრამით გაწერილი ყველა სპორტული ღონისძიება და ხარჯები.

4.1.1. ა(ა)იპ – ამბროლაურის სასპორტო სკოლის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტულ სახეობათა სწავლების, სპორტსმენების საშეჯიბრო მივლინების ხარჯების, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების



დაფინანსება, შემენილი იქნება სპორტული ინვენტარი. ქვეპროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლის სუბსიდირების გზით.

4.1.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ამბროლაურის ჭიდაობის კლუბ „ფალავანის“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ჭიდაობის განვითარების დაფინანსება, სადაც შედის მწვრთნელთა ხელფასები, სატურნირო მივლინების ხარჯები. ქვეპროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ – ამბროლაურის ჭიდაობის კლუბ „ფალავანის“ სუბსიდირების გზით.

4.1.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ამბროლაურის საცურაო აუზის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ცურვის განვითარების დაფინანსება, სადაც შედის ა(ა)იპ – ამბროლაურის საცურაო აუზის თანამშრომელთა ხელფასები და ხარჯები, ქვეპროგრამა განხორციელდება სუბსიდირების გზით.

4.1.4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „რაჭას“ ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების დაფინანსება, სადაც შედის ა(ა)იპ-ის თანამშრომელთა ხელფასები და ხარჯები, ქვეპროგრამა განხორციელდება სუბსიდირების გზით.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.

4.2.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ამბროლაურის კულტურის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები კერძოდ: სადღესასწაულო, გასართობი და სანახაობითი.

2018 წლის განმავლობაში დაფინანსდება კულტურის სახლთან არსებული თეატრი და ანსამბლები, ბიბლიოთეკები, სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

4.2.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტში 2018 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 125-მდე მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ბიუჯეტიდან, ასევე მშობელთა შემონატანით. ქვეპროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით.

4.2.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება – ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტში 2018 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა, სადაც სწავლობს 58 მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ბიუჯეტიდან, ასევე მშობელთა შემონატანით. ქვეპროგრამა ხორციელდება სუბსიდირების გზით.



4.2.4. გაზეთის მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება საგამომცემლო მომსახურების შესყიდვა მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და მოსახლეობისათვის აქტუალური ინფორმაციების გასამუქებლად.

4.2.5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ტურისტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისა და რეგიონში არსებული კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივ ძეგლთა პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა და დაფინანსდება ა(ა)იპ – ტურისტული ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის მდგრადი განვითარება, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მიზნადგელი ტურისტული გარემოს შექმნა ადგილობრივი კულტურული, ეთნოგრაფიული, ეკოსისტემისა და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების შენარჩუნებით; ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება.

4.3. ახალგაზრდული და საზოგადოებრივი ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

4.3.1. კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 01)

4.3.1.1. პროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვანების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, სახელმწიფო და სახალხო სადღესასწაულო ღონისძიებების აღნიშვნას ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით და მოსახლეობისა და ტურისტებისათვის სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემოს შექმნას, რაც დღესასწაულების ფარგლებში სხვადასხვა ჟანრის ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი.

4.3.1.2. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: მომავალ თაობებში წიგნის კითხვის სურვილის გაღვივება, წიგნიერების ღონის ამაღლება.

4.3.1.3. საბიბლიოთეკო ცხოვრებისა და წიგნიერების პოპულარიზაცია.

4.3.1.4. ნიჭიერი ადამიანების, ბავშვების და ახალგაზრდების შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენა და საზოგადოებისთვის გაცნობა.

4.3.1.5. მოეწყობა სახალხო ღონისძიება (ფოლკლორული ფესტივალი) „ფუძეობა“, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია, კულტურული, გასართობ-შემეცნებითი ღონისძიების გამართვა, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოს მოწყობა, დამსვენებელთა და ადგილობრივი საზოგადოების კონსოლიდაცია. მოეწყობა ახალი წლისა და 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

4.3.1.6. მოხდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სამგზავრო გადაყვანის ხელშეწყობა, რომლის მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის ქ. ამბროლაურში არსებული სახელოვნებო და სპორტული დაწესებულებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

4.3.2. ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03 02) აღნიშნული ქვეპროგრამა გულისხმობს:

4.3.2.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა სახის ღონისძიების დაფინანსება.



4.3.2.2. პროგრამის მიზანია, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ხელი შეუწყოს ამბროლაურის ახალგაზრდობას აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში, ასევე დაეხმაროს ადგილობრივ დონეზე მათ ორგანიზებაში.

4.3.2.3. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს:

4.3.2.3.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის და 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტის გარეთ, ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე მიწვევა (პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება).

4.3.2.3.2. სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე გუნდებისთვის სპორტული ფორმების შეძენა და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

4.3.2.3.3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის და 29 წლამდე ახალგაზრდებისთვის კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობა.

4.3.2.3.4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის და 29 წლამდე ახალგაზრდების სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა.

4.3.2.4. ადმინისტრირება და კონტროლი:

4.3.2.4.1. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ღონისძიების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და თანხის მიზნობრივად ხარჯვას აკონტროლებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურთან ერთად.

4.3.2.4.2. პროექტის ორგანიზებასა და მისი მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს, ასევე მარათონის მარშრუტს და კილომეტრაჟს განსაზღვრავს სამსახური.

4.3.2.4.3. აღნიშნულ მარათონში გარბენის შედეგების მიხედვით გამარჯვებულის სახით გამოვლინდება და ფულადი პრიზით – 100 (ასი) ლარით დაჯილდოვდება რვა პირი – პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული ორივე სქესის წარმომადგენელი, ასევე მარათონის მონაწილეთაგან უხუცესი და ნორჩი მონაწილე. მარათონის ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცემა სიგელი და საიმჯო მათსური.

4.3.2.5. პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3.2.6. შეფასების კრიტერიუმები

ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და ფიზიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა.

4.3.2.7. პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

4.3.3. საპატო მოქალაქის წოდების მინიჭების ღონისძიება (პროგრამული კოდი 05 03 03)

4.3.3.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, მიანიჭებს „ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდებას.

4.3.3.2. „ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდება შეიძლება მიენიჭოს როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის სრულწლოვან მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, პროფესიისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებისა, რელიგიური მრწამსისა, თუ მის მიერ საჯაროდ გამოთქმული შეხედულებები არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ერთიანობას და სუვერენიტეტს, საზოგადოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებს და ზნეობრივ პრინციპებს.

4.3.3.3. „ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდების ჩამორთმევა დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე წყვეტს



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4.3.3.4. ამბროლაურის საპატო მოქალაქის წოდების მისაღებად კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს:

4.3.3.4.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის არანაკლებ 1%-ს;

4.3.3.4.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს;

4.3.3.4.3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს;

4.3.3.4.4. გასული წლის საპატო მოქალაქეს.

4.3.3.5. „ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდების მინიჭება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურთან, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს წარმოდგენილ კანდიდატურებს.

4.3.3.5.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი „ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდებას მიანიჭებს არაუმეტეს 5 ადამიანს.

4.3.3.5.2. პიროვნებას, რომელიც მიიღებს „ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდებას, გადაეცემა სიგელი და ჯილდო.

4.3.3.6. „ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ წოდების მქონე პირს უფლება აქვს:

4.3.3.6.1. მონაწილეობა მიიღოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში და მოწვეულ საპატო სტუმრებთან შეხვედრებში.

4.3.3.6.2. წარადგინოს „ამბროლაურის საპატო მოქალაქის“ კანდიდატი.

4.3.3.7. პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3.3.8. პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

4.3.4. წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების ღონისძიებები განათლების სფეროში (პროგრამული კოდი 05 03 04)

4.3.4.1. პროგრამის სფერო და მიზანი

4.3.4.1.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (შემდეგ ტექსტში „სამსახური“) ინიციატივით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წესდება ჯილდოები და წოდებები. პროგრამის ფარგლებში განათლების სფეროს წარმომადგენლებს მიენიჭებათ საპატო წოდებები და გადაეცემათ ფულადი ჯილდოები, ასევე სოციალურად დაუცველ სტუდენტებს (პირველკურსელებს) დაუფინანსდებათ უმაღლესი განათლების მიღება.

4.3.4.1.2. პროგრამის მიზანია აღნიშნული სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების, პროდუქტიულობისა და მოტივაციის ამაღლება, ასევე ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლა-განათლების ხელშეწყობა.

4.3.4.2. წოდებები და ჯილდოები

4.3.4.2.1. „წლის საუკეთესო აღმზრდელი“ - ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების არაუმეტეს 3 აღმზრდელს.



აღმზრდელთა გამოვლენა მოხდება ა(ა)იპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში შექმნილი კომისიის მიერ. კომისიაში წარმოდგენილი უნდა იყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამსახური.

4.3.4.2.2. „წლის საუკეთესო პედაგოგი“ – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების არაუმეტეს 3 პედაგოგს. პედაგოგთა გამოვლენა მოხდება ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შექმნილი კომისიის მიერ. კომისიაში წარმოდგენილი უნდა იყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამსახური.

4.3.4.2.3. საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებს, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედალზე – (კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია, ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ, მიეწოდება სამსახურს) გადაეცემათ ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით - ოქროს მედალოსანს, ხოლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით - ვერცხლის მედალოსანს.

4.3.4.2.4. საჯარო სკოლების ოთხ სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ მოსწავლეს - გადაეცემა პორტატული კომპიუტერები, რომლებიც შეირჩევიან V-XI კლასის სოციალურად დაუცველ (100 001 ქულამდე) მოსწავლეთაგან, საუკეთესო აკადემიური მოსწრებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ინფორმაციის დამუშავებასა და კანდიდატების გამოვლენას უზრუნველყოფს სამსახური.

4.3.4.2.5. საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს, რომელმაც მიმდინარე წელს დაამთავრა სკოლა და წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები (მოიპოვა გრანტი 100 %), გადაეცემა ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

4.3.4.2.6. სოციალურად დაუცველი (65 001 ქულამდე) პირველკურსელი, რომელმაც მიმდინარე სასწავლო წელს დაამთავრა საჯარო სკოლა, დაფინანსდება არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარით.

4.3.5. წოდებების და ჯილდოების მინიჭების ღონისძიებები კულტურისა და სპორტის სფეროში (პროგრამული კოდი 05 03 05)

პროგრამის მიზანია კულტურისა და სპორტის სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების, პროდუქტიულობისა და მოტივაციის ამაღლება.

4.3.5.1. „კულტურის საუკეთესო მოღვაწე“ – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნულ წოდებას მიიღებს კულტურის სფეროს მოღვაწე, რომელსაც გამოავლენს სამსახური, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენელთა ჩართულობით.

4.3.5.2. „წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარი“ – აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ბიბლიოთეკების თანამშრომელს, რომლის გამოვლენა მოხდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში“ შექმნილი კომისიის მიერ. კომისიაში წარმოდგენილი უნდა იყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამსახური. გამოვლენილ ბიბლიოთეკარს გადაეცემა სიგელი და ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

4.3.5.3. „წლის საუკეთესო მკითხველი“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკის თითო ყველაზე აქტიურ მკითხველს. მონაცემებს შეისწავლის სამსახური.

4.3.5.4. „წლის საუკეთესო სპორტსმენი“ – ფულადი ჯილდო ინდივიდუალურ სახეობაში 500 (ხუთასი) ლარი.

4.3.5.5. „წლის საუკეთესო ნაკრები“ – გუნდურ სახეობაში საუკეთესო შედეგების მქონე გუნდს გადაეცემა ფულადი ჯილდო 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში კანდიდატს გამოავლენს სამსახური, სპორტული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. სპორტსმენი,



რომელიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან მიწვეულია საქართველოს ნაკრებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიიღებს პრემიას ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

4.3.5.6. „წლის საუკეთესო მწვრთნელი“ – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირში მოღვაწე მწვრთნელს, რომელსაც გამოავლენს სამსახური, ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

4.3.5.7. „ახალგაზრდა ხელოვანი“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის აღსაზრდელს, რომელსაც გამოავლენს სამსახური, ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

4.3.5.8. „წლის საუკეთესო მედიკოსი“ – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოღვაწე ექიმს და ექთანს, რომლებიც გამოვლინდებიან შესაბამის ჯანდაცვის დაწესებულებებში ჩატარებული ფარული კენჭისყრის საშუალებით. კენჭისყრის ჩატარებას უზრუნველყოფს სამსახური.

4.3.5.9. პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

4.3.5.10. პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3.6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ბანაკში დასვენების მუნიციპალური პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03 06)

4.3.6.1. პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სტიმულირება, ხელშეწყობა და მათი ადაპტირება საზოგადოებაში. მათ მიეცემათ საშუალება გამოავლინონ საკუთარი ნიჭი, შესაძლებლობები, შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ და იყვნენ მეტად ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად და გამოიჩინონ ინიციატივა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში, რადგან ახალგაზრდობაა ის ძალა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს და უზრუნველყოფს მის განვითარებას.

4.3.6.2. პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი წარჩინებული მოსწავლეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 001-ს და 2017–2018 სასწავლო წელს დაამთავრეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასი, 10 (ათი) დღით გაემგზავრებიან ახალგაზრდულ ბანაკში აქტიური დასვენებისთვის.

4.3.6.3 პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან.

4.3.7. ქვეპროგრამა: „უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭების შესახებ (პროგრამული კოდი 05 03 07)

4.3.7.1. პროგრამის სფერო და მიზანი:

4.3.7.1.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, მიანიჭებს „უანგარო მზრუნველის“ წოდებას.

4.3.7.1.2. „უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭება შესაძლებელია ქვეყნის მოქალაქეობის, ასაკობრივი და სხვა შეზღუდვების გარეშე.

4.3.7.2. პროგრამის მიზანია საზოგადოებაში წახალისებულ იქნეს მუნიციპალიტეტისთვის სასარგებლო საქმიანობა, ასევე ნებისმიერი ქმედება, რომელიც ამბროლაურზე ზრუნვით შეიძლება იყოს განპირობებული. პროგრამის არსი მდგომარეობს დევიზში: „ჩემი პასუხისმგებლობაა არა მხოლოდ ის, რასაც ვაკეთებ, არამედ ისიც, რისი გააკეთებაც შემიძლო და არ ვაკეთებ.“



4.3.7.3. „უანგარო მზრუნველის“ კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს:

4.3.7.3.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის არანაკლებ 1%-ს;

4.3.7.3.2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს;

4.3.7.3.3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ორგანიზაციებს და საინიციატივო ჯგუფებს;

4.3.7.4. „უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭება

